ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 48

12 მარტი 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახური - გაიოზ თალაკვაძე

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- ნინო კვეტენაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ზარქუა
კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ალექსანდრე ხუჯაძე,დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ირაკლი ნადირაძე.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი #11-01190701512 ქ"თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (№15-031907099-03)
2. 2010 წლის 20 ივლისის იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით ნაკისრი ვალდებულებების 2015 წლის 26 იანვრიდან 2017 წლის 28 თებერვლამდე შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან ნანული ჭიაურელის (პ/ნ 01024043431) გათავისუფლების თაობაზე.
3. ქ.თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩისა და მდ.მტკვარს შორის (ნაკვ.03/21) მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 75,16 კვმ ფართის (საკ/კოდი: 01.17.14.003.387.01.01.012) ყოფილი საბინაო - სამშენებლო კოოპერატივის წევრისათვის (ნანა კაჭარავასთვის) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე.
4. ქ.თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩისა და მდ.მტკვარს შორის (ნაკვ.03/21) მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 71,26 კვმ ფართის (საკ/კოდი: 01.17.14.003.387.01.01.014) ყოფილი საბინაო - სამშენებლო კოოპერატივის წევრისათვის (ქეთევან ბედუკაძე) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე.
5. "ქალაქ თბილისში, ჭავაჭავაძის ჩიხი №37-ის მიმდებარედ/ჭავაჭავაძის ჩიხი №37-ში მდებარე გარკვეული უძრავი ქონების (საკ/კოდი:01.14.14.005.163) ააიპ ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი „მწვანე სახლისთვის" (ს/კ 205270570) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 5 მარტის №07.54/295 დადგენილებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა , რომ წარმოდგენილი დღის წესრიგის მე-3 და მე-4 საკითხები საჭიროებს დამატებით შესწავლას და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგი დაემტკიცებინათ ამ ცვლილებით.

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა წარმოდგენილი წინადადების გათვალისწინებით.

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი #11-01190701512 ქ"თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (№15-031907099-03)
2. 2010 წლის 20 ივლისის იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით ნაკისრი ვალდებულებების 2015 წლის 26 იანვრიდან 2017 წლის 28 თებერვლამდე შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან ნანული ჭიაურელის (პ/ნ 01024043431) გათავისუფლების თაობაზე.
3. "ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი №37-ის მიმდებარედ/ჭავჭავაძის ჩიხი №37-ში მდებარე გარკვეული უძრავი ქონების (საკ/კოდი:01.14.14.005.163) ააიპ ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი „მწვანე სახლისთვის" (ს/კ 205270570) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 5 მარტის №07.54/295 დადგენილებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების თაობაზე.

მოისმინეს: საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი #11-01190701512 ქ"თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

მომხსენებელი- გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძემ დაწვრილებით განმარტა კვარტალურ გადანაწილებებთან დაკავშირებით. გლდანის რაიონის გამგეობას გზების მოვლა-შეკეთების პროგრამაში, ესაჭიროება პირველ კვარტალში 500 000 ლარის დამატება, ხოლო კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამაში, პირველ კვარტალში დამატებით 250 000 ლარი. გამგეობა წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების მოსალოდნელი შესრულებიდან გამომდინარე, აღნიშნულ პროგრამებში პირველ კვარტალში არსებული რესურსი საკმარისი არ არის.

ისნის რაიონის გამგეობა წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ რაიონის გზებზე ორმოული მიმდინარე სამუშაოებისათვის პირველ კვარტალში დამატებით საჭიროებს 90 000 ლარის დამატებას, ხოლო რაიონის ტერიტორიაზე რკინა-ბეტონის ახალი კიბეების მოწყობისათვის, არსებულის შეკეთებისათვის და რაიონის ტერიტორიაზე არსებული ეკლესიების ფინანსური დახმარების გასაცემად კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამაში პირველ კვარტალში საჭიროებსა 142 000 ლარის დამატება, მეორე კვარტლის შესაბამისად შემცირებით ხარჯზე.

კრწანისის რაიონისა გამგეობა აღნიშნავს, რომ რაიონის ტერიტორიაზე დაზიანებული ასფალტის საფარის მიმდინარე შეკეთებისათვის „გზების მოვლა-შეკეთების" პროგრამაში პირველ კვარტალში დამატებით სჭირდება 100 000 ლარი, რასაც აბალანსებს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის" პროგრამაში პირველ კვარტალში არსებული ეკონომიებით. გამგეობა აღნიშნავს, რომ ტენდერების პირობების თანახმად აღნიშნულ პროგრამაში სამუშაოების მეტი ნაწილის დასრულება იგეგმება მესამე-მეოთხე კვარტლებში.

საბურთალოს რაიონის გამგეობას „გზების მოვლა-შეკეთების" პროგრამაში, რამოდენიმე მისამართზე სამუშაოების შესრულებიდან გამომდინარე პირველ კვარტალში საკმარისის რესურსი არ აქვს, ხოლო ნაწილი სამუშაოებისა, მაგალითად მოხრეშვის სამუშაოების ხარჯი უნდა გაიწიოს „საქონელი და მომსახურების" მუხლიდან. „კეთილმოწყობის ღონისძიებების" პროგრამაში „საქონელი და მომსახურების"

მუხლში აქვთ 15 000 ლარის ეკონომია, აღნიშნავენ რომ მყარი ურბანული ნარჩენების გატანზე გამოცხადებული ტენდერები დასრულდა უარყოფითი შედეგით. გარდა ამისა 7 ეკლესიის ფინანსური დახმარების , ასევე რაიონის ტერიტორიაზე საყრდენი კედლების მოსაწყობად „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლში საჭიროებენ დამატებით თანხებს. საერთო ჯამში აღნიშნულ პროგრამაში 71 500 ლარის გადმოტანა ხდება მეორე კვარტლიდან პირველ კვარტალში. „წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების“ პროგრამაში, გამომდინარე იქედან რომ, ამხანაგობა „ძველი ვეძისი“ს წყალმომარაგების მოწესრიგების სამუშაოების დასრულების ვადამ გადაიწია 30 აპრილამდე, ამ პროგრამაში, პირველ კვარტალში დარჩა 400 000 ლარის ეკონომია.

გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ „წინა წლების დავალიანებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ პროგრამაში მეორე კვარტალში სჭირდებათ 101 000 ლარის გადმოტანა მესამე კვარტლიდან.

კომისიის წევრების შეკითხვებზე დაწვრილებით განმარტა გაიოზ თალაკვაძემ.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის“ მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობები ითხოვენ მათთვის მიკუთვნებულ პროგრამებში ასიგნებების კვარტალურ გადანაწილებას, სადაც ასევე წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის (კოდი 10 26) მერე კვარტლის გეგმა იზრდება 101 000 ლარით, ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესისი დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 და მე-7 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.**

მოისმინეს: 2010 წლის 20 ივლისის იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით ნაკისრი ვალდებულებების 2015 წლის 26 იანვრიდან 2017 წლის 28 თებერვლამდე შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან ნანული ჭიაურელის (პ/ნ 01024043431) გათავისუფლების თაობაზე.

ნინო კვეტენაძის განმარტებით, მოქალაქე ნანული ჭიაურელს 2010 წლიდან, იჯარით ქონდა აღებული თვითმმართველის საკუთრებაში არსებული ქონება. მოქალაქემ იჯარით აღებული ქონების მიმდებარედ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება გაასხვისა, ახალმა მფლობელმა კი არ იცოდა იჯარის ქირის გადახდის ვალდებულების შესახებ, რის გამოც ნანული ჭიაურელს დაერიცხა პირგასამტეხლო 764 ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის მთავრობა მოიზანშეწონილად მიიჩნევს ძველი მფლობელის ნანული ჭიაურელის პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებას 2015წლის 26 იანვრიდან 2017 წლის 20 თებერვლამდე პერიოდში.

მომხრე- 7

კომისიის წევრებმა რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, ჭავაჭავაძის ჩიხი №37-ის მიმდებარედ/ჭავაჭავაძის ჩიხი №37-ში მდებარე გარკვეული უძრავი ქონების (საკ/კოდი:01.14.14.005.163) ააიპ ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი

„მწვანე სახლისთვის“ (ს/კ 205270570) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 5 მარტის №07.54/295 დადგენილებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების თაობაზე.

მომხსენებელი- ნინო კვეტენაძე.

ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ ააიპ ფისოქლოგიური მომსახურების ცენტრს, რომელიც ყოველთვიურად მომსახურებას უწევს აუტიზმის, ეპილეფსიის, ფსიქო-ემოციური დარღვევების და სხვა დიაგნოზის მქონე დაახლოებით 45 მცირეწლოვან ბავშვსა და მოზარდს, 2014 წლიდან იჯარით გადაცემული ქონდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება 10 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირა შეადგენდა 8000 ლარს. ცენტრის მიერ ბენეფიციართა მომსახურება უფასოა, შემოსავლები კი საკმაოდ მწირი,რის გამოც ვერ ახერხებენ იჯარის გადასახადის გადახდას. საიჯარო ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველი არის, საიჯარო პირობების გარკვეული პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის პირველივე შემთხვევა. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ სხვადასხვა დროს გაგზავნილი წერილებით, მოიჯარე გაფრთხილებული იქნა ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით და სააგენტოს ბრძანებით, ჭავაჭავაძის ჩიხი №37-ის მიმდებარედჭავაჭავაძის ჩიხი №37-ში მდებარე გარკვეული უძრავი ქონების იჯარის ფორმით სარგებლობა შეწყდა. ა(ა)იპ ფისოქლოგიური მომსახურების ცენტრი ითხოვს დადგენილებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან (9328 ლარი) გათავისუფლებას.

მომხრე- 7

კომისიის წევრებმა რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა.